საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და ნატო-ს მხარდამჭერ სტუდენტთა ჯგუფის მიერ მომზადებული ყოველკვარტალური დაიჯესტი

ნატო და მსოფლიო უსაფრთხოება

სარედაქციო საბჭო

კონსტანტინე გაბაშვილი (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე)
ნინო ნაკაშიძე
ვასილ ჭყოიძე (საბჭოს კოორდინატორი)
არჩილ ოსიძე

სარედაქციო კოლეგია:

რედაქტორი: გიორგი ასტამაძე
სარედაქციო კოლეგიის წევრები: რატი ჭეიშვილი, დარეჯან მეტრეველი, დიმიტრი სილაქაძე, ანატოლი კორეპანოვი, ირაკლი ჟორჟოლიანი, ეკატერინე ცაკიაშვილი, ვასილ პაპიაშვილი, ირაკლი ტყებუჩავა, ზურაბ სამნიაძე, თამარ კამკამიძე

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი
0018 რუსთაველის გამზირი №8, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 93 56 53, ფაქსი (995 32) 92 02 76
ელ-ფოსთა: vasili@parliament.ge; irakli27@gmail.com

სარჩევი

- ინფორმაცია "ნატოს მხარდამჭერი ახალგაზრდული კავშირის დაარსების შესახებ" 2
- ორგანიზაცია ახალი თაობა - ახალი ინიციატივა 3
- ინტერვიუ კონსტანტინე გაგაშვილთან 4
- იაპ დე ჰოოპ სხეფერის გამოსვლა 6
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონ ნინო ნაკაშიძესთან ინტერვიუ 7
- ვლადიმერ პუტინი აგრესიას ვეღარ მალავს... 8
- ინტერვიუ კოკი იონათამიშვილთან 10
- საერთაშორისო თანამშრომლობა გაუვრცელებლობის სფეროში 11
- ნატოს გაფართოება და ახალი სტრატეგია 14
- მსოფლიოში მიმდინარე სამხედრო სიახლეები 21

ინფორმაცია "ნატოს მხარდამჭერი ახალგაზრდული კავშირის დაარსების შესახებ"

2006 წლის დასაწყისში ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ბაზაზე საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტთან თანამშრომლობის შემდეგ არაოფიციალურად დაარსდა „ნატოს მხარდამჭერ სტუდენტთა ჯგუფი". სტუდენტური ორგანიზაციის მიზნები იმ დროისათვის ძირითადად მხოლოდ აღნიშნული უნივერსიტეტით შემოიფარგლა. „ნატოს მხარდამჭერ სტუდენტთა ჯგუფის" ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით არაერთი შეხვედრა ჩატარდა თსუ-ში ნატოსა და საქართველო-ნატოს ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეხვედრებზე მოწვეული იყვნენ სტუმრები პარლამენტიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, პროფესორები უნივერსიტეტებიდან და ეს ყველაფერი იწვევდა აუდიტორიის საკმაოდ დიდ ინტერესს.

უნივერსიტეტსი ჩატარებული შეხვედრების გარდა სტუდენტური ორგანიზაცია 2006 წლიდან პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტთან ერთად გამოსცემს ელექტრონულ ზურნალს „ნატო და მსოფლიო უსაფრთხოება", რომელიც აშუქებს ნატოსთან დაკავშირებულ მთელი მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მოვლენებს, თუმცა ბუნებრივია აქცენტი მახვილდება ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე.

„ნატოს მხარდამჭერ სტუდენტთა ჯგუფის" მიერ ჩატარებული შეხვედრებიდან განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მიუნხენის 42-ე კონფერენციიდან დაბრუნებული საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის- ბ-ნ კონსტანტინე გაბაშვილის ვიზიტმა თსუ-ში, როდესაც მან დეტალურად მიმოიხილა როგორც კონფერენციის მიმდინარეობა და დეტალები, ასევე კონფერენციისშემდგომი შედეგების პოზიტივები საქართველოსთვის.

მიუხედავად იმისა, რომ „ნატოს მხარდამჭერ სტუდენტტა ჯგუფი" არ წყვეტდა აქტიურობას მთელი წლის მანძილზე, მაინც აუცილებელი გახდა მოღვაწეობის სფეროს გაფართოება და შესაბამისად- სტრუქტურის რეორგანიზაცია.

2007 წლის დასაწყისში „ ნატოს მხარდამჭერ სტუდენტთა ჯგუფის" რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა „ნატოს მხარდამჭერი ახალგაზრდული კავშირი", რომელიც უფრო მრავალრიცხოვანია და უფრო მრავალფეროვნად აპირებს მოღვაწეობას.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ორგანიზაცია დაფუძნებული იქნება მთლიანად დემოკრატიულ პრინციპებზე, ანუ ისეთ პრინციპებზე, რაც ასე ფასეულია დასავლური ცივილიზაციისა და ნატისთვის. ორგანიზაციის თავმჯდომარე არჩეულ იქნება მაქსიმუმ ერთი წლის ვადით, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებლ იქნება ერთობლივად, ერთმანეთის აზრის გათვალისწინებით, დიალოგისა და კონსენსუსის საფუძველზე.

„ნატოს მხარდამჭერი ახალგაზრდული კავირი აპირებს", რომ სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთავ ერთად აქტიური როლი ითამაშოს ნატოს საკითხის პოპულარიზაციაში საქართვეოოში, რადგან მიგვაჩნია, რომ ერთი წლის

მანძილზე 74%-დან 83%-მდე ნატოში გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობრივი ზრდის მიუხედავად, საჭიროა ქართული საზოგადოებისთვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება ნატოზე, რადგან ეს მხარდაჭერა უფრო სეგნებული და კვალიფიციური გახდეს.

„ნატოს მხარდამჭერი ახალგაზრდული კავშირი“ იმუშავებს მკვეთრად გამოკვეთილ პრიორიტეტებზე, სამი ძირითადი მიმართულებით.

ორგანიზაცია ახალი თაობა - ახალი ინიციატივა

nGnI ახალი თაობა - ახალი ინიციატივა

ორგანიზაცია ახალი თაობა - ახალი ინიციატივა (nGnI) აგრძელებს ნატოსთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარებასა და საზოგადოების ინფორმირებას ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის ცნობების მიწოდება ერთის მხრივ იმის თაობაზე, თუ რა ვალდებულებები უნდა შეასრულოს სახელმწიფომ ალიანსში გაწევრიანებისკენ მიმავალ გზაზე და მეორეს მხრივ რა პოზიტიურ შედეგებს მოუტანს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება.

ახალი თაობა-ახალი ინიციატივამ 3-9 ნოემბერს განახორციელა პროექტი „შემდეგი გაჩერება-ნატო“, რომელსაც აქტიური მხარდაჭერა აღმოუჩინა და დააფინანსა ლიტვისა და ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებმა. პროექტი განხორციელდა ლიტვის ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაციასთან (LATA) ერთად.

საინფორმაციო კომპანია გაიხსნა 3 ნოემბერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს და ლიტვის პარლამენტისა და მთავრობის წევრებმა, ლიტვის ელჩმა საქართველოში, ბულგარეთის საელჩოს წარმომადგენელმა საქართველოში, ნატოს საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებმა, უნივერსიტეტის რექტორმა. საინფორმაციო კამპანიის გახსნას დაესწრო 150-ზე მეტი სტუდენტი, სადაც თავდაპირველად ნაჩვენები იქნა სპეციალურად მომზადებული ფილმი ნატოსა და საქართველო-ნატოს ურთიერთობების შესახებ, რომელსაც თავის კომენტარს უკეთებენ დიპლომატიური კორპუსის, საქართველოს მთავრობის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც სპეციალურად გაფორმებული ავტობუსით ფაქტობრივად მთელი საქართველო მოიარა. ამ ჯგუფის წევრები იყვნენ ლიტვის პარლამენტის და მთავრობის, ასევე ლიტვის ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაციის წევრები, საქართველოს პარლამენტის და მთავრობის, ასევე ნატოს საინფორმაციო ცენტრისა და nGnI-ის წევრები. ჩატარდა შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან თელავში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში.

საქართველო-ნატოს ურთიერთობებსა და ნატოსთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე, საქართველოს დედაქალაქის გარდა, სემინარები ჩატარდა თელავში, გორში, ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში. სემინარებში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი ორგანიზაციების, პარტიების, ფილიალების, ადგილობრივი

თვითმართველობების წარმომადგენლებმა, სტუდენტებმა და დაინტერესებულმა პირებმა. სემინარებზე ხდებოდა ნატოს და საქართველო-ნატოს ურთიერთობების შესახებ და ლიტვის გამოცდილების შესახებ პრეზენტაციების წარმოდგენა და დისკუსიები ამ და სხვა საკითხების ირგვლივ. შეხვედრებმა და სემინარებმა საკმაო დაინტერესება გამოიწვია, გარდა ამისა, მსმენელებმა მიიღეს მათთვის საინტერესო ინფორმაცია. შეხვედრებსა და სემინარებში მონაწილეობა მიიღო 1000-მდე ადამიანმა.

პროექტის ფარგლების მიხედვით გათვალისწინებული გეგმით თელავში, გორში, ქუთაისში, ოზურგეთსა და ბათუმში ჩატარდა კონცერტები პოპულარული შემსრულებლების მონაწილეობით, სადაც ასევე ნაჩვენები იყო სპეციალური ფილმი. პროექტის ეგიდით გამართულ კონცერტებს ჯამში დაესწრო 3300-მდე ადამიანი.

შეხვედრებზე, სემინარებზე, კონცერტებზე გავრცელდა ათეულ ათასობით ბეჭდვითი პროდუქცია ნატოს და საქართველო-ნატოს ურთიერთობების შესახებ, მათ შორის ბუკლეტები, მაგიდის და ჯიბის კალენდრები, რუკები, საქაღალდეები, ისევე როგორც - ბლოკნოტები, კალმები, ქუდები. მასალები ნ ნI-ის რეგიონალური ქსელის მეშვეობით გადაეცა ადგილობრივ ორგანიზაციებს, სკოლებს, უნივერსიტეტებს, თვითმართველობის ორგანოებს.

ზემოხსენებული საინფორმაციო კამპანიის პერიპეტიები და შთაბეჭდილებები აღიბეჭდა კამერაზე და 2007 წლის 31 იანვარს, კინო რუსთაველში გაიმართა ჩვენება ფილმისა სახელწოდებით „შემდეგი გაჩერება-ნატო“, სადაც მაქსიმალურად იყო ნაჩვენები პროექტის ფარგლებით გათვალისწინებული შეხვედრები, სემინარებისა და კონცერტების ყველაზე საინტერესო ეპიზოდები. საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო ჩვენებაზე მიწვეულ სტუმართა შემადგენლობა. „შემდეგი გაჩერება-ნატო“-ს ჩვენებას ესწრებოდნენ: აშშ-ს ელჩი საქართველოში, ლიტვისა და ბულგარეთის წარმომადგენლები საქართველოში, საქართველოს პარლამენტის წევრები, ნატოს საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები, ორგანიზცია „ნატოს მხარდამჭერი ახალგაზრდული კავშირი“, ტელე-რადიო ჟურნალისტები და ნატოს საკითხებით დაინტერესებული მოქალაქეები.

ფილმი გაგრძელდა თითქმის ერთი საათის მანძილზე და საკმაოდ დიდი მოწონება დაიმსახურა აუდიტორიის მხრიდან. მისი დასრულების შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ ცნომილი სტუმრები და გამოხატეს თავისი მხარდაჭერა მსგავსი სახის ღონისძიებების მიმართ. მოგვიანებით „შემდეგი გაჩერება-„ნატო“-ს ხილვის საშუალება მიეცა სრულიად საქართველოს, საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით.

ახალი თაობა-ახალი ინიციატივა მომავალშიც გეგმავს განახორციელოს მსგავსი სახის პროექტები. პერიოდულად გაიმართება საგანმანათლებლო შეხვედრა-სემინარები ფართო საზოგადოებისთვის და დარიგდება სხვადასხვა სახის მასალები, ანუ გაკეთდება მაქსიმუმი საქართველოს მოსახლეობის უკეთ ინფორმირებისათვის თითოეულ დეტალთან დაკავშირებით, რისი მიზანიც ბუნებრივია უნდა იყოს ერთადერთი რამ-რეალურად განხორციელება საქართველოს გაჩერებისა ნატოში.

გიორგი ასტამაძე

ინტერვიუ კოტე გაბაშვილთან

2007 წლის 9-11 თებერვალს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოლქ ბავარიაში გაიმართა მიუნხენის 43-ე საერთაშორისო კონფერენცია უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამ კონფერენციაზე, ბუნებრივია, იმყოფებოდა საქართველოს დელეგაცია, რომელიც შემდეგი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი: კონსტანტინე გაბაშვილი- პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, დავით კეზერაშვილი- თავდაცვის მინისტრი, გიორგი ბარამიძე- ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მინისტრი და გელა ბეჟუაშვილი - საგარეო საქმეთა მინისტრი. მართალია, მასმედიის საშუალებით ქართულ აუდიტორიას ჰქონდა საშუალება საკმაოდ დეტალური ინფორმაციის მოსმენისა, მაგრამ ჩვენმა ჟურნალმა უპრიანად ჩათვალა კონფერენციის უშუალო მონაწილესთან ინტერვუს აღება, რათა უფრო სხვა კუთხით წარმოჩენილიყო კონფერენციის მიმდინარეობა და დეტალები.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი კონსტანტინე გაბაშვილი ძალიან კომუნიკაბელური და საინტერესო საუბრით გამოირჩევა, ამიტომ გადავწყვიტეთ ინტერვიუ სწორედ მისგან აგვეღო, მით უფრო, რომ ბ-ნი კოტე მიუნხენის კონფერენციის სტაჟიანი მონაწილეა უკვე წლების მანძილზე და არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ მთელი პოსტ-საბჭოთა სივრციდან ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც დაესწრო ამ კონფერენციას მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში.

ბატონმა კოტემ საკუთარ კაბინეტში მიღებისთანავე გადმოგვცა მიუნხენის 43-ე კონფერენციასთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალები: ნატოს გენერალური მდივნის, აშშ-ს თავდაცვის მდივნის, სენატორ მაკკეინისა თუ პოლიტმიმომხილველების გამოსვლები. ამ მასალების გაცნობა უკლებლივ საინტერესო აღმოჩნდა, თუმცა, მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ის განრიგი მიმდინარეობა, რაც თან ახლდა მიუნხენის 43-ე კონფერნციას.

9 თებერვლის მოხსენების „მშვიდობა ახლო აღმოსავლეთშის“-ს შემდეგ,კონფერენცია ოფიციალურად გაიხსნა 10 თებერვალს, დილის ცხრა საათზე. ამავე დღეს სიტყვით გამოვიდნენ მსოფლიო პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თემაზე „რუსეთის როლი მსოფლიო პოლიტიკაში“. სხვა მომხსენებელთა შორის იყვნენ: ესტონეთის პრეზიდენტი თომას ჰენდრიკ ილვესი, უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი კურტ ბეკი, ავსტრიის საგარეო საქმეტა მინისტრი ურსულა პლასნიკი, ნატოს გენერალური მდივანი იააპ დე ჰოოფ სხეფერი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტავდაცვის მინისტრი ფრანც იოზეფ იუნგი, არიზონელი სენატორი ჯონ მაკკეინი, ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე დაუნერი. შუადღისთვის სიტყვით გამოვიდნენ:

ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა, დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი მენზის კემპბელი,ასევე- პაკისტანისა და ავღანეთის წარმომადგენლები.

კონფერნციის მეორე დღე წინას მსგავსად დილის ცხრა საათზე დაიწყო და შუადღის პირველ საათამდე, ე.ი. კონფერენციის დასასრულამდე გაგრძელდა. 11 თებერვალს მოხსენებით გამოვიდნენ: აშშ-ს თავდაცვის მდივანი რობერტ გეითსი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი, ცეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი კარელ შვარცენბერგი, ირანის ისლამური რესპუბლიკის უზენაესი უშიშროების საბჭოს მდივანი ალი ლარიიანი. რუსეთის პრემიერმინისტრი მოადგილე და ტავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი, კონენკტიკუტელი სენატორი ჯოზეფ ლიბერმანი, ინდოეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების მრჩეველი მ.კ. ნარაიანანი, ჩინეტის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეტა მინისტრის მოადგილე ჟანგ იესუი, აშშ-ს ფინანსთა მდივნის მოადგილე რობერტ კიმიტი. შუადღის 1 საათზე გამარტული ლანჩით მიუნხენის 43-ე კონფერენცია ოფიციალურად დასრულდა.

მიუხედავად ასეთი დეტალური ინფორმაციის გადმოცემისა, მაინც საჭიროდ ჩავთვალეტ, რომ ორიოდე კითხვით მიგვემარტა ბ-ნი კონსტანტინესთვის, როგორც კონფერენციაზე მყოფი და მოვლენების უშუალო თვითმხილველისთვის.

➢ ***ბატონო კოტე, როგორი რეზონანსი მოჰყვა რუსეთის პრეზიდენტის - ვლადიმერ პუტინის გამოსვლას კონფერენციაზე?***

ფაქტობრივად არანაირი. საკმაოდ უცნაური იყო მისი ფრაზების შინაარსი და ფორმა. უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტ პუტინის გამოსვლას რუსეთიდან ჩაყვანილი სპეციალისტები თარგმნიდნენ და საკმაოდ არბილებდნენ პუტინის უხეშ გამონათქვამებს.საკმაოდ მკაცრი განცხადებები გააკეთა პუტინმა ეუთოს- ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიმართ და ანტირუსულად მოიხსენია ის, რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ რუსეთს ეშინია ეუთოს დამკვირვებელთა მისიის ჩასვლისა რუსეთში ჩასატარებელ არჩევნებზე.

რუსეთის პრეზიდენტი შეეხო მსოფლიოს მართვის სისტემებსაც და აღნიშნა, ხდება მართვის ბიპოლარული სისტემის დისკრედიტაცია და სამყაროს ერთი ცენტრის გავლენის ქვეშ მოქცევა, მაგრამ ისიც დაამატა, რომ ახალი ალიანსი რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთისა და ბრაზილიის მონაწილეობით არათუ შეინარჩუნებს ბიპოლარულ სისტემას, არამედ აჯობებს კიდეც ევროპულ სახელმწიფოთა კავშირს, რითაც ფაქტობრივად ევროკავშირსაც გადაწვდა.

ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთის ეკონომიკა მიდის წინ და მხოლოდ მშპ-ის 26% მოდის ნავთობისა და გაზის მოპოვებაზე. მან ასევე იმედი გამოთქვა რუსეთის ვტო-ში გაწევრიანებისა უახლოეს მომავალში.

რუსეთის პრეზიდენტი ხაზს უსვამდა იმას, რომ ვარშავის შეთანხმების მიხედვით არ უნდა მომხდარიყო ნატოს გაფართოება, მაგრამ მისმა დასავლელმა კოლეგებმა ეს არ გაითვალისწინეს.

რაც შეეხება რეზონანსს, პუტინის გამოსვლა მთლიანობაში იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა მიუნხენში მყოფთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის, რომ კონფერენციაზე მყოფმა ჩეხმა დელეგატმა განაცხადა მეორე დღეს - პტუინის მოხსენებამ კიდევ უფრო დამარწმუნა ნატოს გაფართოების სისწორეშიო.

➢ ***ახლა რაც შეეხება დასავლეთს. რამდენად ღია და ცხადი იყო იაპ დე ჰოოფ სხეფერისა და რობერტ გეიტსის გამოსვლები და რა მნიშვნელობას მიანიჭებდით მათ მოხსენებებს საქარტველოსთვის?***

სხეფერისა და გეითსის გამოსვლები გამოირჩეოდა გახსნილობით, ე.ი. ეს გამოსვლები ინფორმაციულად საკმაოდ მდიდარი იყო.ძირითადი რაც ითქვა იყო ის, რომ ნატო არ არის ორგანიზაცია, რომელიც მიმართულია რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ის ფაქტი, რომ ნატოს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემა განლაგდება ბუნებრივი უნდა იყოს ყველასთვის და ეს არანაირ კავშირში არ არის არც რუსეთთან და არც სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან.

რაც შეეხება საქართველოს კონფერენციაზე ითქვა, რომ 2009 წლისთვის საქართველოს და უკრაინის ინტერესების დაკმაყოფილება მოხდება, მაგრამ აქმდე ჯერ კიდევ რთული გზა აქვთ ამ ქვეყნებს გასავლელი, რეფორმებისა და დემოკრატიზაციის თვალსაზრისით, რაც ბუნებრივია ჩვენი მხრიდან გათვალისწინებული უნდა იქნეს კიდეც.

ესაუბრა გიორგი ასტამაძე

იაპ დე ჰოოპ სხეფერის გამოსვლა

მიუნხენში მიმდინარეობდა ევროპის უსაფრთხოების ტრადიციული კონფერენცია, რომელიც მასობრივი საპროტესტო აქციების პარალელურად მიმდინარეობდა. საპროტესტო აქციის მონაწილეები აკრიტიკებდნენ მსოფლიოში არსებულ უსაფრთხოების პოლიტიკას.

მიუნხენში მიმდინარე კონფერენციას საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა და სახელმწიფო მინისტრები. მიუნხენში ჩავიდნენ ესტონეთის, რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტები, გერმანიის კანცლერი, ნატოსა და ევროკავშირის პირველი პირები, შეერთებული შტატების გავლენიანი პირები. კონფერენციას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნ კოტე გაბაშვილი. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბ-ნ დავით კეზერაშვილი. საუბრის თემა ალიანსში საქართველოს ინტეგრაცია გახლდათ.

ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკის საერთაშორისო კონფერენციაზე ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის (ნატოს) გენერელურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა თავის გამოსვლაში, კონფერენციაზე მყოფ სახელმწიფოებს შეახსენა, რომ

ახლოვდება ნატო-ს 60 წლისთავი, რომელსაც აღნიშნავენ 2009 წელს. სხეფერი შეეხო ავღანეთის საკითხს, რადგანაც ავღანეთი და წარმატება ავღანეთში, რათქმა უნდა არის მნიშვნელოვანი საკითხი ნატოს ქმედითუნარიანობის კიდევ ერთხელ დასამტკიცებლად. მან განაცხადა: "მე ვფიქრობ 2009 წელს ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ ავღანეთი მიმავალი მშვიდობის გრძელვადიან გზაზე. მე ვიმედოვნებ, რომ 2009 წელს, ნატოს მე-60 დაბადების დღეზე ნათლად დავინახოთ რეკონსტრუქციული და განვითარებული ავღანეთი, რომლის მთავრობა უფრო უკეთესად შეძლებს საკუთარი ძალების მობილიზაციას და სახელმწიფოს გაძლიერებას".

შეეხო ავღანეთის ეროვნული არმიის საკითხს, აღნიშნა პაკისტანის სასიცოცხლო მნიშვნელობა ავღანეთში წარმატებისათვის. სხეფერმა განიხილა კოსოვო თავისი პირდაპირი პოლიტიკური სტატუსით, მტკიცე და ძლიერი დაწესებულებებით, სერიოზული ეკონომიკური განვითარებით და ახლო კოოპერეცია სერბებთან.

სხეფერმა დაარღვია დიპლომატიური დუმილი და განაცხადა, რომ: "მე ვისურვებდი 2009 წელს ვნახო უფრო მეტი სახელმწიფო ნატოში. დიდი სურვილი მაქვს ორგანიზაცია 26-ზე მეტი წევრის შემადგენლობით ვიხილო. ვისურვებდი ვიხილო სერბეთი, მტკიცედ მიმავალი ნატოს გზაზე, ვისურვებდი ვიხილო, როგორ მიემართება უფრო ახლოს ძლიერი ამბიციებით უკრაინა და საქართველო და დაგვეფასებინოს მათი ამბიციები ნატოსაკენ".

იაპ დე ჰოოპ სხეფერის შეხედულებით, 2009 წლის სამიტზე ნატოს ლიდერები მხარს დაუჭერენ ახალ სტრატეგიულ კონფერენციას ნატოსათვის. მან მოიხსენა მნიშვნელოვანი პარტნიორი-რუსეთი, მისი დამოკიდებულება და ურთიერთობა ნატოსადმი. აღნიშნა, რომ XXI საუკუნეში ნატო-ს ესაჭიროება XXI საუკუნის შეიარაღება. ყურადღება გაამახვილა თავდაცვით საკითხებზე, შეეხო თავდაცვის ბიუჯეტსაც.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: "მე გესაუბრებოდით თქვენ ჩემ იმედებზე 2009 წლისათვის... საბოლოოდ ჩანს, რომ ნატოს წინ არ ელოდება მშვიდი დღეები, არ ელოდება მშვიდი დღეები მოკავშირეებსაც, მაგრამ ნატო მოახერხებს სრულიად მოიგერიოს შეტევები მიზნებისათვის XXI საუკუნეში. ეს არის კოლექტიური პასუხისმგებლობა. ნატო არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც აღმოაჩენს XXI საუკუნის პასუხებს, XXI საუკუნის შეკითხვებზე და ყოველთვის გავაკეთებთ ერთად. ასე, რომ ჩვენ კვლავ გვაქვს დრო. . ."

ინტერვიუ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონ ნინო ნაკაშიძესთან

კითხვა:

➢ ***როგორ შეაფასებდით მიუნხენის კონფერენციაზე ნატოს გენერალური მდივნის იაპ დე ჰოოპ სხეფერის გამოსვლას და გააჩნია თუ არა საქართველოს პერსპექტივა, რომ 2009 წელს გახდეს ნატოს წევრი?***

სხეფერის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ხაზი გაესვა, რომ საქართველოს აქვს დიდი შანსი გახდეს ნატოს წევრი. მომზადდა ნიადაგი იმისათვის, რომ ნატოში შემავალმა ქვეყნებმა განაცხადონ თანხმობა საქართველოს ნატოში შესვლის შესახებ. სხეფერის მიერ გაკეთებული განცხადება არ შეიძლება აღვიქვათ, როგორც დაპირება. ეს გახლდათ მორალური მხარდაჭერა საქართველოს მიმართ. საქართველოს შანსები, კვლავ საქართველოზეა დამოკიდებული. რამდენად კარგად განვახორციელებთ ჩვენ დემოკრატიის განვითარებას, რეფორმების მტკიცედ გატარაბას, ეს ყოველივე განაპირობებს ჩვენი ნატოში შესვლის ვადებს. ადრე თუ გვიან ეს მოხდება. მთავარია ორი პირობა: სხვა ქვეყნების მზადყოფნა და ჩვენი მომზადება.

➢ ***მიიღებს თუ არა საქართველო 2007 წელს MAP-ს?***

2007 წელს აუცილებლად გადავალთ MAP-ზე და თუ ჩვენ ის მოცემული ამოცანები, რომელიც განხილულია MAP-ში შევასრულეთ, გავხდებით ნატოს წევრი. ამავე დროს არის დაბრკოლება-რუსეთის წინააღმდეგობა.

➢ ***რა წინსვლას მოუტანს საქართველოს ნატოში გაწევრიანება?***

ნატოში გაწევრიანებით უსაფრთხოების საკითხი იზრდება. ჩვენ ვხდებით დემოკრატიული ოჯახის წევრი და დემოკრატიულ რეფორმებს უკუსვლა არ ექნებათ.

P.S.

იმისათვის, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი, საჭიროა ურთიერთობა მოაწესრიგოს რუსეთთან, მეზობლური კონფლიქტის დროს საჭიროა არსებული ვითარების მოგვარება, რადგანაც ნატოს არ აქვს სურვილი ჩაერიოს ამ არსებულ დაძაბულობაში.

ნატოს კარზე პირველად ედუარდ შევარდნაძემ "დააკაკუნა", მაგრა მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია. მიზეზი კი გახლდათ მოუწესრიგებელი არმია და დაუცველი საჰაერო სივრცე. როდესაც მოხდა საქართველოში ხელისუფლების შეცვლა, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გახლდა ნატოში გაწევრიანება. სახელმწიფო თანდათანობით გადადის ორგანიზაციის სტანდარტებზე, გაიხსნა ახალი სამხედრო ბაზები, იხვეწება არმია. ყოველივე ეს კი, საფუძველს გვაძლევს მივახწიოთ მიზანს.

ამრიგად, საქართველოზეა დამოკიდებული მისი მომავალი. მომავალი დაგვანახებს აფრიალდება თუ არა ხუთჯვრიანი დროშა ბრიუსელში, ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციიც შტაბ-ბინასთან.

ეკატერინე ცაკიაშვილი

ვლადიმერ პუტინი აგრესიას ვეღარ მალავს...

9-11 თებერვლის მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც წლეულს 43-ედ გაიმართა, 40-მდე სახელმწიფოს წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. ძალზე საინტერესო და ყურადღებამისაქცევი იყო ამ კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის გამოსვლა, რომელმაც დასავლეთ სამყაროსადმი კრიტიკული ეპითეტები არ დაიშურა, სამიზნე, როგორც ყოველთვის, მსოფლიო დემოკრატიის ფლაგმანი ამერიკის შეერთებული შტატები იყო. თუმცა, მეტად დიდ ინტერესს იწვევს თავად აშშ-ის საგარეო პოლიტიკური ქმედებები უშუალოდ მიუნხენის კონფერენციამდე.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ ნოემბრის შუალედურ არჩევნებში მარცხი განიცადა, აშშ-მა თავისი პოლიტიკური კურსი მისდამი მტრულად განწყობილ "დიქტატურათა ლიგასთან" კიდევ უფრო, ასე ვთქვათ, გაახისტა...

მას შემდეგ, რაც თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი რობერტ გეიტსმა შეცვალა, აშშ-მა ერაყში თავისი კონტინგენტის გაზრდაზე დაიწყო ფიქრი და იქ დამატებით 21 500 ჯარისკაცის გაგზავნა გადაწყდა. ასევე გაიზარდა შტატების სამხედრო-საზღვაო ყოფნა სპარსეთის ყურეში, ხოლო ერაყში ირანელი აგენტების წინააღმდეგ ქმედებები საგრძნობლად გააქტიურდა. გარდა იმისა, რომ პოლონეთი და ჩეხეთი რაკეტსაწი– ნააღმდეგო სისტემების განლაგებაზე დაითანხმა(ბოლო დროს აშშ-ის გენერალიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, იგივე რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ნაწილი შეიძლება სამხრეტ კავკასიაშიც განთავსდეს), პარალელურად პერლ-ჰარბორიდან კამჩატკისაკენ მსოფლიოში უმსხვილესი მცურავი რადიოლოკაციური სადგური გადაანაცვლა. თავად გეიტსმა კი მსოფლიოს ზოგ ქვეყანაში(მათ შორის რუსეთშიც) არსებული "ბუნდოვანი" სიტუაციის გამო კონგრესს აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაზრდა მოსთხოვა.

ბუნებრივია, ყოველივე ზემოჩამოთვლილი რუსეთის გაღიზიანებას გამოიწვევდა. ამ ყველაფერზე კი პასუხის გასაცემად პუტინმა მიუნხენური ტრიბუნა შესაფერისად მიიჩნია. მან ღიად დააფიქსირა თავისი პოზიცია მიმდინარე საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ პუტინის სიტყვა ძირითადად აშშ-ის წინააღმდეგ იყო მიმართული. მისთვის ამერიკის დომინირებული მდგომარეობა მიუღებელი აღმოჩნდა, ერთპოლარული სამყარო სადაც შტატები თავისი წესებით "ათამაშებს" მსოფლიოს. მან საკმაოდ წინ წამოსწია რუსეთის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, რუსეთისა, რომელსაც ათასწლეული ისტორია გააჩნია. ვლადიმერ პუტინი საკმაოდ ამბიციურად გამოიყურებოდა. თავად რუსი ანალიტიკოსები აღნიშნავდნენ რომ რუსეთი არ არის იმდენად მომძლავრებული, რომ მსოფლიო ლიდერობაზე რაიმე პრეტენზია გააჩნდეს, არ არის ძლიერი რომ აშშ-ს გაუტოლდეს და მას წინააღმდეგობა გაუწიოს. ავიღოთ თუნდაც რუსეთის შიდა პრობლემები – სიღარიბე, სიტყვის თავისუფლების შესღუდვა, კრიმინალი("სკინჰედები", ჟურნალისტების ბოლო დროს გახშირებული

მკვლელობები), დემოკრატიის არარსებობა, ეს ყველაფერი რუსეთის გაძლიერებასა და დომინირებას მსოფლიოში მეტად ამუხრუჭებს.

როგორც ჩანს, ვლადიმერ პუტინი და მისი გარემოცვა საკმაოდ შეწუხებულია, თუ არა აღშფოთებული, ნატოს საზღვრების გაფართოებასთან დაკავშირებით. რუსეთის პრეზიდენტის აზრით, ნატომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულოს და არ მიუახლოვდეს რუსეთის საზღვრებს მათი უსაფრთხოების გარანტირებისათვის. ნატოს გაფართოება რუსეთისათვის დიდ დარტყმას წარმოადგენს, მითუმეტეს, რომ იგი მის უშუალო საზღვრებს უახლოვდება. განსაკუთრებით კი რუსეთისათვის ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამხრეთ საზღვრიდან, სადაც ამ უკანასკნელის გავლენა ისედაც სერიოზულადაა შერყეული. რუსეთი კარგავს კონტროლს ტერიტორიებზე რომლებსაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც თავისი უშუალო გავლენის სფეროდ მიიჩნევდა, მაგრამ ეს პროცესი სულ უფრო შეუქცევადი ხდება. ავიღოთ თუნდაც საქართველო, იგი ნატოსთან ახალ ინტენსიური დიალოგის საფეხურზე გადავიდა, თუმცა 2007 წლისათვის -ზე უმაღლეს საფეხურზე გადასვლა იგეგმება, ხოლო 2009 წლისათვის როგორც ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა განაცხადა, სავარაუდოდ, საქართველო ნატოს სრულუფლებიანი წევრი გახდება. ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით პუტინმა თავის უარყოფითი დამოკიდებულება მკაფიოდ გამოხატა და განაცხადა, რომ გაფართოება არანაირ კავშირშია ორგანიზაციის მოდერნიზაციასთან. ამგვარი დამოკიდებულების პირდაპირი გამოხატვა რუსეთის მხრიდან ერთგვარ სასოწარკვეთილ მცდელობას წააგავდა, შეეჩერებინა ეს პროცესი, მაგრამ ყველა ქვეყანას აქვს უფლება აირჩიოს თავისი გზა, გაატაროს თავისი პოლიტიკა. ქვეყნების უმრავლესობა კი დასავლეთის ღირებულებებისაკენ მიისწრაფის.

ვლადიმერ პუტინმა თავის სიტყვაში მასობრივი განადგურების იარაღის წინააღმდეგ ბრძოლას საკმაოდ დიდი დრო დაუთმო. განაცხადა, რომ მსოფლიოში წესრიგის დამრღვევი ბევრი სუბიექტია და მხოლოდ ირანის თემის წინ წამოწევა არ შეიძლება. პუტინმა სარაკეტო ტექნოლოგიებზეც ისაუბრა და ჩეხეთსა და პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებასთან დაკავშირებით აღშფოთება არ დამალა და პირდაპირ განაცხადა, რომ ჩრდილო კორეიდან თუ რომრლიმე პრობლემატური ქვეყნიდან რაკეტების სხვა კონტინენტზე, ანუ ამერიკაზე დაფრენა ბალისტიკის ნებისმიერ კანონს ეწინააღმდეგება. ეს სისტემები გამოიყენება ისევ და ისევ რუსეთის წინააღმდეგ ეს კი პუტინისათვის, რა თქმა უნდა, მიუღებელია. პუტინი ასევე ერთგვარად დაუპირისპ[ირდა იტალიის თავდაცვის მინისტრს და განაცხადა, რომ ძალის გამოყენება გაეროს სანქციითაა დასაშვები, ხოლო ნატოსა და ევროკავშირს ამგვარი განკარგულებების გაცემა არ შეუძლიათ, ეს ლეგიტიმურად არ ჩაითვლება. ამგვარი ვითარება პუტინისათვის საკმაოდ მისაღებია, რადგან როგორც ვიცით, რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს წევრია და ვეტოს გამოყენების უფლებით სარგებლობს. კრიტიკის ქარცეცხლში ეუთოც მოექცა, რომელიც პუტინის აზრით, მხოლოდ ცალკეული ქვეყნებისათვის მისაღებ პოლიტიკას ატარებს და თავისი ბიუროკრატიზმით გამოირჩევა. იგი ქვეყნების შიდა საქმეებში, შიდაპოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს. რაც შეეხება კოსოვოს პრობლემას, პუტინმა მსოფლიო საზოგადოებას ნეიტრალიტეტისაკენ, ჩაურევლობისაკენ მოუწოდა, რადგან თუ "პრობლემის გადაწყვეტისას ვინმე უკმაყოფილო დარჩა ეს ათეული წლები გაგრძელდება." პუტინმა ასევე დაგმო ამერიკის პოლიტიკა ერაყში. უნებრივია, ეს დაგმობა აშშ-ის სამხედრო ძალების ერაყული კონტიგენტის ზრდამ გამოიწვია.

პუტინის სიტყვაში საკმაოდ დიდი დრო რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის წარმოჩენას დაეთმო. როგორც უკვე ავღნიშნეთ, პუტინის აზრით, რუსეთმა საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა ითამაშოს, წესრიგი დაიცვას საერთაშორისო სისტემაში. პუტინის გამოსვლა გაჟღენთილი იყო უკმაყოფილებით იმის გამო, რომ იგი კარგავს პოზიციებს არათუ მსოფლიოში, არამედ რეგიონშიც კი და აღარ არის დომინანტი სახელმწიფო, რეგიონალურ დონეზეც ვეღარ ავრცელებს თავის ძალაუფლებას.

როგორც დავინახეთ, რუსეთის პრეზიდენტის საკმაოდ აგრესიული გამოსვლა არანაირ დიპლომატიურ ნორმებს არ ესადაგებოდა და ეს ტონი თანამედროვე მსოფლიოში სრულიად მიუღებელია. ალბათ სწორედ ამიტომაც იყო, რომ ვლადიმერ პუტინის გამოსვლამ რობერტ გეიტს ცივი ომის დრო გაახსენა, ხოლო რესპუბლიკელი სენატორის, ჯონ მაკკეინის განცხადებით კი "ცივი ომის დამთავრების შემდეგ ეს იყო რუსეთის ლიდერის ყველაზე აგრესიული გამოსვლა."

თამარ კამკამიძე
ზურაბ სამნიაძე

ინტერვიუ კოკი იონათამიშვილთან

- ***მოკლედ მოგახსენეთ თქვენი ორგანიზაციის („ახალი თაობა-ახალი ინიციატივის) მიზნებზე?***

ორგანიზაცია „ახალი თაობა-ახალი ინიციატივა" 2003 წლის ნოემბერში დაარსდა. ორგანიზაციის მთავარი პრიორიტეტია საქართველოს ინტეგრაცია ნატო-ში და საქართველოში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების ხელშეწყობა. მიმაჩნია, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული სადამკვირვებლო მისიები, საარჩევნო საგანმანათლებლო პროგრამები და საკანონმდებლო ინიციატივები პირდაპირ უკავშირდება იმ სამართლებრივი საფუძვლების და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას რომლებიც აუცილებელია ნატოში ინტეგრაციის გზაზე.

- ***ნატო-სთან ინტეგრაციის პროცესისადმი თქვენი პოზიცია?***

პირადად ჩემთვის და ჩემი ორგანიზაციისათვის ნატო-ში გაწევრიანება, ეს არის ღირსეული და მშვიდობიანი გზა ქვეყნის გაძლიერებისაკენ, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ. ვთვლი, რომ საქართველოს სახელმწიფოს საკუთარი

მრავალწლოვანი ისტორიის მანძილზე იშვიათად ყოლია ისეთი სანდო და მისაღები სამხედრო-პოლიტიკური პარტნიორი, როგორსაც დღეს ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია წარმოადგენს.

- ***როგორც ვიცით მოსახლეობის დიდი ნაწილი დადებითად არის განწყობილი ნატო-ში გაწვრიანებასთან მიმართებაში, თუმცა ინფორმაცია ნატო-ს შესახებ მოსხლეობაში საკმაოდ მწირია. ზრუნავს თუ არა თქვენი ორგანიზაცია იმაზე, რომ მოსახლეობას გააჩნდეს სრული ინფორმაცია ნატო-სთან დაკავშირებით?***

მნიშვნელოვანია ის, რომ მოსახლეობას გააჩნდეს ობიექტური მოლოდინი საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესის მიმართ და ამიტომაც „ახალი თაობა-ახალი ინიციატივის“ ამოცანას სწორედ შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება წარმოადგენს. აქტუალურია მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის და რეგიონების მაცხოვრებელების

ინფორმირება ნატო-ს და საქართველო-ნატო-ს ურთიერთობის შესახებ.

- *და მაინც რატომ გვინდა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება?*

იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა მშვიდობა. ჩვენ ვაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს, ჩვენ ვაღიარებთ დემოკრატიულ ფასეულობებს, ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ღირსეული პარტნიორი, ჩვენ გვინდა განვავითაროთ! ჩვენი ეკონომიკა, ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს ისტორიას და ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენს მომავალზე.

აი, ასეთი საინტერესო პასუხით დაასრულა საუბარი ჩვენმა რესპოდენტმა.

ციცნამი საყვარლიშვილი

საერთაშორისო თანამშრომლობა გაუვრცელებლობის სფეროში

საქართველოს დაუცხრომელმა სწრაფვამ, ნატოში გაწევრიანებულიყო, მეტ-ნაკლებად თავისი შედეგი გამოიღო, 2006 წლის 21 სექტემბერს საქართველო ოფიციალურად გადავიდა ნტოსთან ინტეგრირების ახალ, ინტენსიური დიალოგის საფეხურზე. ბუნებრივია, ამან ქვეყნის საერთაშორისო თუ სხვა სახის ვალდებულებები საგრძნობლად გაზარდა. ვალდებულებები ყველა სფეროს ეხება. ავიღოთ თუნდაც მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის სფერო... როგორია საქართველოს როლი ამ საკითხთან მიმართებაში? რომელ შესაბამისი ორგანიზაციები არსებობენ ამ სფეროში? გაწევრინებულია თუ არა საქართველო მათში? რა სახის ვალდებულებები გააჩნია ჩვენ ქვეყანას ამ ორგანიზაციების წინაშე? ვინაიდან საქართველოს ინტენსიური დიალოგის წლიური სამოქმედო გაგმა ჯერ არ არსებობს, წინამდებარე სტატიაში ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას ნატო-უკრაინის 2006 წლის სამოქმედო გეგმის გამოყენებით შევეცდებით და მოკლედ მიმოვიხილავთ შესაბამის ორგანიზაციებს(უკრაინა ინტენსიური დიალოგის საფეხურზე შედარებით ადრე, 2005 წელს გადავიდა).

წინასწარვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს უამრავი არასამთავრობო სამხედრო არაფორმალური ასოციაცია, რომელიც სწორედ მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა, რათა ერთობლივი ძალისხმევით აღიკვეთოს არასახელმწიფო სუბიექტების ხელში ამ იარაღის მოხვედრა, ერთიანად შემუშავდეს საზღვრების დაცვა და ექსპორტის მკაცრი კონტროლი. ერთ-ერთი ასეთი არაფორმალური სამხედრო ასოციაციაა "სარაკეტო ტექნოლოგიებზე კონტროლის რეჟიმი". რეჟიმის წევრი ქვეყნები იზიარებენ მიზნებს მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით. ეს ასოციაცია 1987 წელს კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს თაოსნობით შეიქმნა და, იმთავითვე, მისი მთავარი მიზანი სარაკეტო ტექნოლოგიებისა და მასობრივი

განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრა. მას შემდეგ წევრთა

რაოდენობა 34-მდე გაიზარდა. მათ ამ რეჟიმში თანაბარი უფლებები აქვთ. სამწუხაროდ, საქართველო ამ ასოციაციაში არაა გაწევრიანებული. ახალი წევრის მიღება კონსესუსის საფუძველზე ხდება, პარტნიორი ქვეყნები უნდა დარწმუნდნენ, რომ გაწევრიანების მსურველ სახელმწიფოს ექსპორტის კონტროლის ეფექტური სისტემა გააჩნია, ზედმიწევნით შეასრულებს ამ ასოციაციის დადგენილ პროცედურებსა და მოთხოვნებს, რელურად გააძლიერებს ასოციაციას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება არაწევრ ქვეყნებთან ურთიერთობას, შესაძლო პარტნიორებთან ასოციაციის დიალოგი მისი თავმჯდომარის მეშვეობით ხორციელდება. ნებისმიერ სახელმწიფოს (მათ შორის საქართველოსაც) შეუძლია ასოციაციაში გაწევრიანების გარეშეც გაიზიაროს ორგანიზაციის

მიზნები და მჭიდროდ ითანამშრომლოს მასთან. ცალკე აღსანიშნია "ბირთვული მომარაგების ჯგუფი", რომელიც 1974 წელს ჩამოყალიბდა. მისი წესდება, რომელიც 1978 წელს გამოქვეყნდა, სახელმწიფოებს ატომური ენერგიის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენებისაკენ მოუწოდებს. 1992 წელს ჯგუფმა გადაწყვიტა, წესდებაში ჩაემატებინა მუხლი ორმაგი დანიშნულების იარაღის, ტექნოლოგიების გადატანასთან დაკავშირებით. აქაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ექსპორტზე კონტროლს, კონტროლს ბირთვულ მასალებზე, ბირთვულ რექტორებზე, დანადგარებზე ბირთვული მასალების გამდიდრებისათვის. ჯგუფის მიზანია, დარწმუნდეს და ყველაფერი მოიმოქმედოს იმისათვის, რათა ატომური ენერგიით ვაჭრობა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის და მხოლოდ საერთაშორისო ატომური გაუვრცელებლობის ნორმების დაცვით მოხდეს. დღეისათვის ეს ჯგუფი 46 წევრ სახელმწიფოს ითვლის. საქართველო მისი წევრი არაა. გაწევრიანებისათვის საჭიროა გარკვეული ვალდებულებების შესრულება, კანდიდატმა ქვეყანამ მკაცრად უნდა განახორციელოს საშინაო ექსპორტის კონტროლი, უნდა მიიღოს მონაწილეობა ატომის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში და მაღალ დონეზე შეასრულოს ამ ხელშეკრულრბით აღებული ვალდებულებები, ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო ძალისხმევას მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააააღმდეგ მიმართულს. 2004 წლის 28 აპრილს გაეროს უშიშროების საბჭომ თავისი რიგით 1540–ე რეზოლუცია მიიღო, რომელიც მთლიანად მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგაა მიმართული. მასში დასახულია ყველა ის გზები და საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ქვეყანათა ჯგუფი შეძლებს ქიმიური, ატომური და ბიოლოგიური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას, ორმაგი დანიშნულების საქონლის ექსპორტის მსოფლიო სტანდარტებს დაქვემდებარებას და ა.შ. გაერო ყველა მის წევრ სახელმწიფოს (მათ შორის საქართველოსაც) მოუწოდებს ნახსენები რეზოლუციის ცხოვრებაში გატარებისათვის აქტიური ზომების მიგებისაკენ...ერთ-ერთი არაფორმალური საერთაშორისო ორგანიზაცია–"ავსტრალიის ჯგუფი"– რომელიც, დღესდღეობით, 40 წევრ სახელმწიფოს მოიცავს, შეიქმნა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ორგანიზაციის საქმიანობას საფუძვლად უდევს ჩვენთვის ცნობილი გაეროს 1540–ე რეზოლუციის პრინციპები, ასევე ჟენევის 1925 წლის პროტოკოლი, 1972 წლის კონვენცია ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის შესახებ და ქიმიური იარაღის აკრძალვის პროტოკოლი. ავსტრალიის ჯგუფის წევრი სახელმწიფოების მთავარი მიზანია საექსპორტო

ლიცენზირების სისტემის გაუმჯობესება, რათა განსაზღვრული ქიმიური მასალების, ბიოლოგიური აგენტების, ქიმიური თუ ბიოლოგიური ტექნოლოგიების, ასევე ორმაგი დანიშნულების მოწყობილობების საექსპორტო კონტროლი საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობდეს. ბუნებრივია, ამ ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, ერთად თუ ინდივიდუალურად, ამ მიმართულებით საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები აქვთ ჩასატარებელი, თუმცა ამ ჯგუფის ერთ-ერთ ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ წევრი სახელმწიფოს მხრიდან საერთო პრინციპებისადმი ღალატის შემთხვევაში, მის წინააღმდეგ არავითარი სანქცია არ ამოქმედდება, ანუ ორგანიზაციას ძალიან სუსტი ბერკეტები გააჩნია ურჩი სახელმწიფოს საპასუხოდ, იგი მხოლოდ რეკომენდაციებით იფარგლება(საქართველო ამ ჯგუფის წევრი არაა). 1995 წელს ჩაეყარა საფუძველი "ვასენაარის შეთანხმებას", რომელიც კონვენციული იარაღს, ორმაგი დანიშნულების პროდუქციასა და ტექნოლოგიების საექსპორტი კონტროლს ეხება. შეთანხმება მის 40 წევრ სახელმწიფოს შორის დაიდო რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის. წევრი სახელმწიფოები, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე წარმართავენ სამუშაოებს, რათა ზემოხსენებულ პროდუქციაზე საექსპორტო კონტროლი მაქსიმალურად გამკაცრდეს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ პროდუქციის სამხედრო გზით გამოყენების საფრთხე მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. ამ შეთანხმების წევრი სახელმწიფოები მზად არიან, ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოებთანაც ზემოხსენებულ სფეროში, უფრო მეტიც, ნებისმიერ სახელმწიფოს(ბუნებრივია, საქართველოსაც) ამ შეთანხმების მონაწილე გახდეს, თუ გარკვეული ვალდებულებების შესრულებას იკისრებს(იგულისხმება ორმაგი დანიშნულების საქონელზე საექსპორტო კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს დაქვემდებარება და ამ პროდუქციის არასამხედრო გზით გამოყენებაზე კონტროლი). 1971-1974 წლებში 15 ბირთვული იარაღის მწარმოებელ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ჩაატარეს რამდენიმე არაფორმალური შეხვედრა შვეიცარიელი პროფესორის, კლოდ ზანგერის ხელმძღვანელობით, რომლის შედეგადაც ჩამოყალიბდა მისივე სახელობის ორგანიზაცია–"ზანგერის კომიტეტი"– რომელშიც დღეს უკვე 36 სახელმწიფოა გაწევრიანებული. მათი საქმიანობა ძირითადად "ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმების" პრინციპებს ემყარება. კომიტეტი ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს "საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოსთან" და მისი მოთხოვნების რეალიზებას უზრუნველყოფს, მაგრამ, ისევე როგორც ავსტრალიის ჯგუფის, ზანგერის კომიტეტის უარყოფითი მხარეა ის, რომ ორგანიზაცია არაფორმალურია და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ლეგალური ძალის მატარებელი ვერ იქნება. კომიტეტი მხოლოდ რეკომენდაციებით იფარგლება და, უკეთეს შემთხვევაში, მის წევრ თუ არაწევრ სახელმწიფოს მასობრივი განადგურების იარაგის გაუვრცელებლობის სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაკენ მოუწოდებს.როგორც დავინახეთ, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის უზრუნველსაყოფად მრავალი ორგანიზაციაა შექმნილი, ზოგი ფორმალური, ზოგი–არფორმალური. ისინი მეტნაკლებად მათზე დაკისრებულ მოვალეობას თავს ართმევენ, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა თემაა. მთავარი მაინც ის არის, რომ თუ სახელმწიფოს პრიორიტეტს ნატოში ინტეგრირება წარმოადგენს, მაშინ ზემოხსენებული ორგანიზაციების წინაშე აღებულ ყველა ვალდებულებას

ზედმიწევნით უნდა ასრულებდეს, რადგანაც ამას ნატო მკაცრად მოითხოვს. ეს კარგად ჩანს ნატო-უკრაინის ინტენსიური დიალოგის 2006 წლის სამოქმედო

გეგმიდან. აქ იბადება ერთი კითხვა–საქართველოც ხომ ინტენსიური დიალოგის ეტაპზე გადავიდა და იგი, უკრაინისაგან განსხვავებით, ამ ორგანიზაციებში გაწევრიანებულიც კი არ არის (გაეროს გარდა) და რა ვალდებულებებზეა საუბარი?! ეს ტრაგედია სულაც არ არის, აუცილებელი არაა, ნატოსთან ინტენსიური დიალოგის ეტაპზევე მოხდეს მზგავს ორგანიზაციებში სასცრაფო გაწევრიანება, ჩვენ შეგვიძლია ამ სფეროში პერიოდული კონსულტირება და მჭიდრო თანამშრომლობა ამ ორგანიზაციებთან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს მომავალ პერსპექტივაში არ უნდა განიხილებოდეს აუცილებელი გაწევრიანება მზგავს ორგანიზაციებში...

თამარ კამკამიძე, ძშრაბ სამნიაძე

ნატოს გაფართოება და ახალი სტრატეგია

ნატო, როგორც სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაცია, არის სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოთა გაერთიანება, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად ევროატლანტიკური სივრცისა და მის ფარგლებს გარე უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნატო კაცობრიობის ისტორიაში იქცა ყველაზე წარმატებულ სამხედრო ალიანსად, რომელიც უკვე მრავალი ათეული წელია სტაბილურად ართმევს თავს საკუთარ ფუნქციას. 1945 წელს, მას შემდეგ რაც დასრულდა მეორე მსოფლიო ომი, საბჭოთა, კომუნისტური ექსპანსიონისტური პოლიტიკის გამო დასავლეთი საჭიროებდა ისეთი მექანიზმის შექმნას, რომელიც მსოფლიოში მშვიდობას უზრუნველყოფდა, ამგვარი მექანიზმი იყო ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო). 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში ხელი მოეწერა ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას, რომელმაც დასაბამი მისცა აშშ-ის, კანადისა და დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს კოლექტიური უსაფრთხოებისა და პარტნიორობის ახალ მექანიზმს – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას. როგორც ავღნიშნეთ ნატოს შექმნა განაპირობა მზარდმა საბჭოთა ექსპანსიამ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის მთლიანად მოიცვა აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა და საფრთხე შეუქმნა დასავლეთის სამყაროს. ნატომ თავისი არსებობის მანძილზე ფუნდამენტური როლი შეასრულა დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს კოლექტიური თავდაცვისა და მისი უშიშროების უზრუნველყოფაში. "ცივი ომის" პერიოდში, როდესაც მსოფლიოში არსებობდა ბიპოლარული სისტემა, ალიანსმა კონფრონტაციის მიუხედავად შეძლო შეეჩერებინა კომუნისტური ექსპანსია და დაემყარებინა კონტინენტზე სტრატეგიული ბალანსი.

ნატო იყო და არის თავისი წევრი ქვეყნების თავისუფალი და დემოკრატიული განვითარების გარანტი. იგი ხელს უწყობს ევროპის კონტინენტზე და მის ფარგლებს გარეთ დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას, ხელშეკრულების 14 მუხლიდან აღსანიშნავია მე-5 მუხლი, ანუ თითოეულ წევრ სახელმწიფოზე თავდასხმა განიხილება, როგორც თავდასხმა ყველა მათგანზე. ეს მუხლი პირველად 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ამოქმედდა, რომელიც აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელდა. უნდა აღინიშნოს, რომ ნატო ყოველთვის ღია პოლიტიკას ატარებდა სხვა სახელმწიფოებისადმი, რაც არის მისი გაფართოების წინაპირობა. ალიანსის გაფართოება მოხდება ახალი წევრი სახელმწიფოების ვაშინგტონის ხელშეკრულებასთან მიერთების მეშვეობით. გაფართოება უნდა:

- ეთანხმებოდეს და ხელს უწყობდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების განხორციელებას, თავისუფლების დაცვას ალიანსის ყველა წევრის და მათი ხალხების საერთო მემკვიდრეობასა და ცივილიზაციას, დამყარებული დემოკრატიის პრინციპებზე, პირად თავისუფლებასა და კანონის უზენაესობაზე. ახალ წევრებს დასჭირდებათ შესაბამისობაში მოსვლა ამ ძირითად პრინციპებთან

- სრულიად შეესაბამებოდეს ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლს, რომელიც ადგენს, რომ "მხარეებს შეუძლიათ ერთსულოვანი თანხმობით, ამ ხელშეკრულებასთან მისაერთებლად, მოიწვიონ ნებისმიერი სხვა ევროპული სახელმწიფო, რომელსაც აქვს უნარი განავითაროს ამ ხელშეკრულების პრინციპები და წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში
- გამომდინარეობდეს იქიდან, რომ ახალი წევრები ისარგებლებენ წევრობის ყველა უფლებით და აიღებენ ყველა ვალდებულებას ვაშინგტონის ხელშეკრულების შესაბამისად; მიიღოს და შეესატყვისებოდეს იმ კურსს, პრინციპებს და მეთოდებს, რომლებიც მიღებულია ალიანსის ყველა წევრის მიერ ახალი წევრების მიერთების დროისათვის
- შეავსოს ევროკავშირის გაფართოება – პარალელური პროცესი, რომელსაც ასევე თავის მხრივ შესამჩნევი წვლილი შეაქვს აღმოსავლეთის ახალი დემოკრატიების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განვრცობაში და სხვა მრავალი პრინციპი დაკავშირებული აღნიშნულ საკითხთან

როგორც ავღნიშნეთ, ხელშეკრულების 14 მუხლიდან ჩვენთვის ნაცნობი მე-5 მუხლის გარდა მნიშვნელოვანია ზემოთხსენებული მე-10 მუხლი, რომლის რეალიზაცია სხვადასხვა დროს მოხდა. 1952 წელს ალიანსს შეუერთდნენ საბერძნეთი და თურქეთი, 1955 წელს – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1982 წელს ესპანეთი. 1999 წელს ვაშინგტონის სამიტზე გადაწყდა სამი სახელმწიფოს – პოლონეთის, უნგრეთის და ჩეხეთის ალიანსში გაწევრიანება, 2004 წელს კი ალიანსს ერთდროულად შვიდი სახელმწიფო – ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია ოფიციალურად შეუერთდნენ. ამგვარად ნატოს წევრ სახელმწიფოთა რაოდენობამ 26 – მიაღწია, რასაც ალბათ უახლოეს მომავალში რამოდენიმე სახელმწიფო, მათ შორის საქართველოც მიემატება.

უწყვეტად მთელი XX საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა ძალთა ბალანსის გადანაწილება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. 80-იან წლებში სხვადასხვა კანონზომიერი პროცესების გამო საბჭოთა კავშირს ნიადაგი გამოეცალა ყველა ასპექტში და ამის ლოგიკური შედეგი იყო 1991 წელი, როდესაც საბჭოთა კავშირი მრავალ სუვერენულ სახელმწიფოდ დაიშალა. ბუნებრივია ახლად აღმოცენებული სახელმწიფოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ნატოში გაწევრიანებას, რაც თან სდევდა ნატოს გაფართოების პროცესს. დაიწყო ალიანსთან აქტიური თანამშრომლობა, რაც პარტნიორობის სხვადასხვა მექანიზმებში მონაწილეობით გამოიხატა. ამ პროცესებში აქტიურად საქართველოც ჩაერთო და მისი ნატოში გაწევრიანება უტოპიიდან რეალობად იქცა. ამ პროცესებს, ვგულისხმობ ნატოს გაფართოებას, არ შეიძლებოდა ადეკვატური რეაქცია არ მოჰყოლოდა რუსეთის მხრიდან, რომელიც ჯერ კიდევ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საბჭოური სტერეოტიპების გავლენას განიცდიდა და არც დღესაც არის მისგან თავისუფალი.. სანამ უშუალოდ ნატოს გაფართოების ევოლუციურ კანონზომიერებებსა და სიძნელეებს განვსაზღვრავდეთ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ყოველთვის არაერთგვაროვანი და ნეგატიური იყო იმ თვალსაზრისით, რომ ეს პროცესი აუცილებლად ხელს შეუწყობდა კონფრონტაციის გაღრმავებას და ახალი ბანაკების წარმოშობას მთელს კონტინენტზე. ამ საკითხის უკეთესად ილუსტრაციისთვის რად ღირს თუნდაც მიუნხენის რიგით 43-ე კონფერენცია, რომელიც 2007 წლის 10-11 თებერვალს მიმდინარეობდა. აღნიშნულ

კონფერენციაზე, სადაც დაისახა მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონტურები, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და აწ უკვე გადამდგარი თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი პრაქტიკულად ანტიდასავლური ლოზუნგებით გამოვიდა, რასაც დასავლურ პრესაში და თვით აშშ-ს სენატშიც ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა.

ვლადიმერ პუტინმა მიუნხენის კონფერენციაზე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ნატოს გაფართოება საფრთხეს შეუქმნის მომავალში რუსეთს. მან აღნიშნა, რომ მისი გაფართოება რეალურად არ წარმოადგენს გაფართოებას, ეს არის დემოკრატიული სახელმწიფოების თვითგამორკვევა, რომელთაც ამგვარი გზა აირჩიეს. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მთავარი რაც პუტინმა მიუნხენის კონფერენციაზე აღნიშნა. მნიშვნელოვანი იყო იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც მოუხდა რუსეთის პრეზიდენტს. ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: "შეგიძლიათ აღიაროთ, რომ ნატოს გაფართოების შემდეგ აღმოსავლეთის საზღვრები უფრო სანდო და საიმედო გახდა? რატომ გეშინიათ დემოკრატიის? მე დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოებს აქვთ ნატოში გაწევრიანების უფლება. ეს ხელს უწყობს მეზობლებს შორის ურთიერთობის სტაბილიზაციას". აღნიშნულ კითხვას ვლადიმერ პუტინმა შემდეგი განსაზღვრება მისცა: "უკეთესი იქნება თუ პირდაპირ არ გავცემ თქვენს კითხვებს პასუხს. რაც შეეხება ჩვენს შეფასებას ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებასთან დაკავშირებით, მე უკვე ვისაუბრე იმ გარანტიებზე, რომელსაც ჩვენ გვაძლევდნენ და რომელსაც დღეს ყურადღებას აღარავინ აქცევს. თქვენ ეს საერთაშორისო ურთიერთობებში ნორმალურად მიგაჩნიათ? მაგრამ ღმერთმა უწყის ეს გარანტიები, რაც შეეხება დემოკრატიასა და ნატოს გაფართოებას, მინდა ავღნიშნო, რომ ნატო – გაერთიანებული ერების ორგანიზაციისგან განსხვავებით, არ არის უნივერსალური ორგანიზაცია. იგი პირველ რიგში არის სამხედრო პოლიტიკური ბლოკი – სამხედრო პოლიტიკური! რა თქმა უნდა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა არის ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს პრეროგატივა. ჩვენ ამაზე არ ვდაობთ და არც ვეწინააღმდეგებით. მაგრამ რა აუცილებლობას წარმოადგენს ჩვენ საზღვართან სამხედრო ინფრასტრუქტურის მიახლოება. ამ კითხვაზე ვინმეს შეუძლია გაგვცეს პასუხი? არის კი სამხედრო ინფრასტრუქტურის გაფართოება თანამედროვე გლობალური საფრთხეების გადალახვასთან რაიმე კავშირში? დავუშვათ თუ ერთ-ერთ მათგანს დავასახელებთ როგორც ჩვენთვის ასევე აშშ-ისა და ევროპისათვის არის ტერორიზმი და მის წინააღმდეგ ბრძოლა. საჭირო კი რუსეთის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა? რა თქმა უნდა! მაგრამ ჩვენ არა ვართ ნატოში ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოები. მაგრამ ამ პრობლემატიკაზე მუშაობა შეგვიძლია ეფექტურად, მხოლოდ გაერთიანებული ძალისხმევით. ხოლო სამხედრო ინფრასტრუქტურის გაფართოება და ჩვენ საზღვრებთან მოახლოება, ცალკეული სახელმწიფოების დემოკრატიულ არჩევანთან არავითარ კავშირში არ არის და მოვითხოვდი, რომ ეს ორი გაგება ერთმანეთში არ ავურიოთ".

ანალოგიური იყო რუსეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის გამოსვლაც, რომელმაც ნეგატიური განსაზღვრება მისცა ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის გაფართოებას და ასევე აღნიშნა, რომ ნატო არის სამხედრო და არა ჰუმანიტარული სამართალდამცავი ორგანიზაცია. ივანოვმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთს არ ჰყავს სამხედრო ან სამხედრო-პოლიტიკური მტრები". რა თქმა უნდა მას არც საქართველო გამორჩენია, რომელიც ჩვენთვის დიდ ინტერესს იწვევს.

“საქართველომ თვითონ უნდა მოაგვაროს ტერიტორიული კონფლიქტები და რუსეთს არ დააკისროს ეს პასუხისმგებლობა”, – განაცხადა ივანოვმა. “ჩვენ კარგად გვესმის, რომ მთავარ საკითხს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა წარმოადგენს მოუგვარებელი კონფლიქტები, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო, თბილისმა მათი მოგვარება უშუალოდ ამ კონფლიქტებში მონაწილეებთან ერთად უნდა შეძლოს და არ დააბრალოს რუსეთს. ეს თქვენი პრობლემაა და არა ჩვენი”. რუსეთის ყოფილ თავდაცვის მინისტრს თვალთახედვიდან არც საქართველოს ნატოში შესაძლო გაწევრიანება გამორჩენია: “ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის რუსეთის საზღვრებთან მოახლოება, არ შეიძლება გათვალისწინებულ არ იყოს რუსეთის სამხედრო პოლიტიკაში, გაწევრიანდეს თუ არა საქართველო ნატოში – ეს არის საქართველოს მოსახლეობის სუვერენული უფლება”.

როგორც ვხედავთ, მიუნხენის კონფერენციაზე რუსეთის მოქმედი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და აწ უკვე ყოფილი თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის სიტყვით გამოსვლა ანტიდასავლური განწყობილებით შეიძლება დავახასიათოთ, რაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რუსეთი ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი იმ იმპერიალისტური ფსიქოლოგიისგან, რაც აფერხებს მეზობელ ქვეყნებთან და ცივილიზებულ სამყაროსთან კეთილმეზობლური და ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ნატოს გაფართოება, რამდენადაც აუცილებლობას წარმოადგენს, იმდენად მეტ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ეს არის თანმიმდევრული პროცესი, რაც ევოლუციური კანონზომიერებებით ხასიათდება. მიუნხენის კონფერენციაზე აღნიშნულ საკითხზე რუსეთის პოზიცია აბსოლუტურად ლოგიკური იყო. მაგრამ ეს არ არის ახალი მოვლენა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც დასრულდა ე.წ. “ცივი ომის” პერიოდი, დასავლეთი ამ პრობლემატიკაზე მუშაობისას დიდ სიძნელეებს აწყდებოდა, რაც ძირითადად რუსეთის ისტორიით იყო გამოწვეული, ნატო – რუსეთის ურთიერთობა ჩვენთვის დიდ ინტერესს იწვევს, რადგან იგი დიდ გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიისა და კერძოდ საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე. საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას წარმოადგენს, რომ ალიანსსა და რუსეთს შორის ვითარდებოდეს ნორმალური თანამშრომლობა, რაც დადებით ფონს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის შემდგომ დაახლოებას ნატოსთან. დაპირისპირება და ქიშპი ნატოსა და რუსეთს შორის კი სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება ნატო-საქართველოს ურთიერთობისთვის.

1992 წელს შეიქმნა ახალი პოლიტიკური ორგანო ჩრდილოატლანტიკური საბჭო (ნაქსი), რაც ალიანსის პარტნიორი ქვეყნებისათვის სხვადასხვა რეგიონალური კონფლიქტებისა და საფრთხეების განხილვის მექანიზმი გახდა, ანუ იქცა ფორუმად სადაც ცალკეული სახელმწიფოები, მათ შორის საქართველოც კონსულტაციის მიზნით საუბრობდა სხვადასხვა პრობლემატურ საკითხზე. რა თქმა უნდა ნაქსისადმი რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულება აიხსნებოდა უმთავრესად იმით, რომ მოსკოვში ეს ინიციატივა აღიქმებოდა როგორც ნატოს ინსტრუმენტი, მიმართული ალიანსის პოლიტიკური და სამხედრო გავლენის აღმოსავლეთით გაფართოებისკენ. 1993 წლის ოქტომბერში რუსეთის პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელებმა კრიტიკული განცხადებები გააკეთეს ნატოს მიმართ, რომელიც პარტნიორ ქვეყნებთან სხვადასხვა სფეროში აქტიურად თანამშრომლობდა. ნატოში კარგად ესმოდათ, რომ მიუხედავად რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულებისა, აღმოსავლეთ ევროპის დაუოკებელ სწრაფვას ალიანსში გაწევრიანებისკენ

სჭირდებოდა ადეკვატური რეაქცია, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული, რომ ევროპის რეგიონში თავისი უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით სხვა ორიენტაციისა და შესაძლებლობის ძიებას დაიწყებდა. 1993 წლის 3 დეკემბრის ნაქსი-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გამოიყენეს მძლავრი დიპლომატიური "შეტევისთვის ალიანსში გაწევრიანების სასარგებლოდ საკუთარი პოზიციების დასაცავად. ამას თან სდევდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. კოზირევის განცხადება, რომ ნატოს გაფართოება გამოიწვევდა ევროპის კვლავ ბანაკებად დაყოფას და რომ ბლოკური მიდგომა აღარ მიესადაგებოდა ცივი ომის შემდგომ ეპოქას.

1993 წლის აგვისტოში რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი ბორის ელცინის ცნობილი განცხადება, რომ რუსეთი არ იყო წინააღმდეგი ნატოს გაფართოებისა, დასავლეთში აღიქვეს, როგორც რუსეთის მიერ ანთებული მწვანე შუქი ამ ორგანიზაციაში ახალი წევრების მისაღებად, თუმცა ეს აზრი შემდგომში ბ. ელცინმა გადათქვა. ამ ფაქტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეალობად ქცეულიყო პოლონეთის, ჩეხეთის და უნგრეთის ნატოს სტრუქტურებში ინტეგრირების საკითხი. ალიანსის ყოფილმა გენერალმა მდივანმა მ. გიორნერმა განაცხადა, რომ დადგა ჟამი კონკრეტული პერსპექტივების შექმნისა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც სურდათ ნატოს წევრობა და რომელთა მიღებაც ალიანსს შესაძლებლად მიაჩნდა. საჭირო იყო ფიქრი არა მარტო ხსენებულ სახელმწიფოებთან ახალი ფორმისა და შინაარსის ურთიერთობების დამყარებაზე, არამედ საერთოდ ახალ სტრატეგიაზე ყველა პარტნიორი ქვეყნის მიმართ. ბრიუსელში ვიზიტად მყოფმა აშშ-ის სენატორმა ჯ. ლუგარმა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკურ ელჩებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო ნატოს "ასოცირებული წევრის" სტატუსის შემოღება, რომელიც შესაძლოა იმ ეტაპზე უკრაინასაც მინიჭებოდა. აღნიშნულ პერიოდში ნატოს გაფართოების მიმართ რუსეთის მეტნაკლებად ლოიალური დამოკიდებულების გათვალისწინებით, დასავლეთში ბევრი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო ალიანსში ახალი წევრების სწრაფი ინტეგრირება. მიუხედავად ამისა, დასავლეთმა ეს ისტორიული შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, რასაც თანდათანობით, რუსეთში ნატოს გაფართოების საწინააღმდეგო განწყობილების ზრდა მოჰყვა. ეს საკითხი არ გამორჩენია ცნობილ ამერიკელ პოლიტოლოგსა და საზოგადო მოღვაწეს ბჟეზინსკის. იგი თავის წიგნში "დიდი საჭადრაკო დაფა" წერს: "ნატოს გაფართოების შესაბამისი მომენტი იყო 1993 წლის მეორე ნახევარში, ანუ მას შემდეგ, რაც ელცინმა აგვისტოში განაცხადა, რომ პოლონეთის გაწევრიანება ალიანსში შეესაბამებოდა რუსეთის ინტერესებს. აღნიშნულის საპასუხოდ კლინტონის ადმინისტრაციამ, რომელიც ხელმძღვანელობდა პოლიტიკით "რუსეთი უპირველეს ყოვლისა", ორი მომდევნო წლის მანძილზე პრაქტიკულად არაფერი გააკეთა. ამან კი გამოიწვია კრემლის ტონალობის შეცვლა, რომელიც სულ უფრო მწვავედ რეაგირებდა ამერიკის გაუბედავ მინიშნებებზე ნატოს გაფართოების თაობაზე. 1996 წლისათვის, როდესაც უსაფრთხო ევროატლანტიკური თანამეგობრობის შექმნის კონტექსტში, ნატოს გაფართოება ვაშინგტონმა გამოაცხადა აშშ-ის პოლიტიკის ცენტრალურ ამოცანად, რუსეთი უკვე მტკიცედ იყო "გამაგრებული" საწინააღდეგო პოზიციაზე. ამგვარად 1993 წელი შეიძლება ჩაითვალოს დაკარგული ისტორიული შესაძლებლობების წლად".

1994 წელი, იმ პერიოდისათვის, ცივილიზირებულმა სამყარომ ნატოს არსებობის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს თარიღად მონათლა იმ თვალსაზრისით, რომ საფუძველი ჩაუყარა პარტნიორობის სრულიად ახალ მექანიზმს "პარტნიორობა მშვიდობისათვის" (PFP) პროგრამას, რომელმაც უდიდესი ტრანსფორმაცია მოახდინა ალიანსის საქმიანობაზე, რაც მიზნად ისახავდა ორიენტირებს სამომავლოდ პარტნიორი ქვეყნების ნატოში შესაძლო სრული გაწევრიანებისათვის. პროგრამაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, ასევე ევროთათბირის წევრ სახელმწიფოებს. პროგრამა ითვალისწინებდა კონკრეტული ვალდებულებების შესრულებას და იწყებოდა მუშაობა ნატოსთან ე.წ. ინდივიდუალური თანამშრომლობის გეგმის მომზადებაზე. მასში მონაწილე ქვეყნების პოლიტიკა უნდა დაფუძნებოდა დასავლურ ფასეულობებსა და ისეთ პრინციპებს, როგორიცაა დემოკრატია, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლი, სამხედრო ბიუჯეტის გამჭვირვალობა და სხვ. ამას ზედ ერთვოდა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში შესაძლო მონაწილეობა. მნიშვნელოვანი იყო "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის მე-8 პუნქტი, რაც გულისხმობს: "ნატო ჩაატარებს კონსულტაციებს პარტნიორობის პროგრამის ნებისმიერ აქტიურ წევრთან იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ჩათვლის, რომ მის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ან უსაფრთხოებას უშუალო საფრთხე ემუქრება". აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით დიდი ყურადღება დაიმსახურა აშშ-ს ექსპრეზიდენტ ბილ კლინტონის განცხადებამ, რომელიც მან ჩეხეთში ყოფნისას გააკეთა: "თუკი აღმოსავლეთ ევროპას დაემუქრება ისეთი საფრთხე, როგორიც მეორე მსოფლიო ომის დროს, ნატო არ დარჩება უმოქმედოდ. მე პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ თქვენი უსაფრთხოება მეტად მნიშვნელოვანია აშშ-ის უსაფრთხოებისთვის". გარდა ამისა მან განაცხადა, რომ PFP პროგრამას ევროპისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე ყველაფერს, რაც აქამდე გაკეთდა ან არ გაკეთდა ბოსნიის მსგავსი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ახალმა ინიციატივამ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა პოლონეთში, ჩეხეთსა და უნგრეთში. მას თავის მხრივ საქართველოც უჭერდა მხარს, რომელიც მზადყოფნას აცხადებდა პროგრამამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილეობა, რისი რეალიზაციაც შემდგომში მოხდა. 2001 წლის 11-23 ივნისს PFP-ის ფარგლებში ჩატარდა სამხედრო წვრთნა (Cooperative Partner 2001), ხოლო 2002 წელს კი (Cooperative Best Effort – 2002). ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში, იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოში ამგვარი მასშტაბის სამხედრო წვრთნა არასოდეს ჩატარებულა. რაც შეეხება ნატოს გაფართოებას PFP-ის მეშვეობით ალიანსის გაფართოება უნდა მომხდარიყო არა მექანიკური არამედ ევოლუციური გზით. ნატოს ეს ახალი სტრატეგია და გაფართოების პროცესის დაწყება თვისობრივად ახალ ვითარებას ქმნიდა ევროპის კონტინენტზე, რასაც თან სდევდა რუსეთის ნეგატიური დამოკიდებულება ამ პროცესისადმი. ეს პროცესი კი როგორც ნატოში საქართველოს პირველი ელჩი ბ-ნი ზურაბ აბაშიძე აღნიშნავს, დაკავშირებული იყო "იდენტურობის პრობლემასთან", რაც გულისხმობს იმ გარემოებას, რომ ალიანსი "ცივი ომის" პერიოდში ჩამოყალიბდა თავდაცვით ორგანიზაციად, რომლის მიზანს წევრი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლის შემდეგ კი გარეშე საფრთხის ფაქტორი "თითქმის აღარ არსებობდა, რაც მოითხოვდა ნატოს მთავარი ფუნქციის ახლებურ

გააზრებას. "ცივი ომის" დასრულების შემდეგ საჭირო იყო იმის განსაზღვრა საიდან იყო მოსალოდნელი გარეშე საფრთხე და სადამდე შეიძლებოდა გავრცელებულიყო ნატოს უსაფრთხოების გარანტიები, რუსეთი, მართალია ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევი ძალა იყო, მაგრამ კონფრონტაცია და ბირთვული დაპირისპირების საფრთხე მინიმუმამდე იყო დასული. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდის რეალობიდან გამომდინარე არსებობდა შემდეგი საფრთხეები: ეთნოკონფლიქტები, მასობრივი იარაღის გავრცელების საშიშროება, პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციის საფრთხე, ტერორიზმი, რელიგიური ექსტრემიზმი, სტიქიური უბედურებები. ეს ყველაფერი სერიოზული რისკის ფაქტორებს წარმოადგენდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ალიანსის გაფართოება წარმოადგენდა და წარმოადგენს უსაფრთხოების აღმოსავლეთ ევროპის სივრცეზე გავრცელების ყველაზე ეფექტურ საშუალებას.

ალიანსში გაწევრიანებული სახელმწიფოები ფიქრობდნენ, რომ მიუხედავად რუსეთში მზარდი ანტიდასავლური და რევანშისტული განწყობილებებისა, მისი მომავალი აღმოსავლეთ ევროპის წევრი სახელმწიფოების სტაბილური მდგომარეობა დადებით გარემოს შექმნიდა რუსეთის მეზობლად, რაც შესაბამისად იმოქმედებდა ამ უკანასკნელის დემოკრატიულ განვითარებაზე, რაც რუსეთის ინტერესებშიც უნდა ყოფილიყო. მაგრამ წამყვან რუს "დერჟავნიკებს" აღელვებდათ ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის გავლენის სფეროს ადგილს ალიანსის ინტერესები დაიკავებდა, რასაც ისინი თავისი სისუსტისა და უმოკავშირეობის გამო წინააღმდეგ ვეღარ გაუწევდნენ.

უდაოდ საინტერესო ფაქტს წარმოადგენს 1994 წლის 25 მაისს ბრიუსელში გამართული ნაქსი-ს თავდაცვის მინისტრთა სხდომაზე რუსეთის თავდაცის მინისტრის პ. გრაჩოვის გამოსვლა. მან წამოაყენა საკითხი "ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების (ECSZ) ხელშეკრულებაში შეეტანათ კორექტივები, რაც რუსეთის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფლანგების გაძლირებას გულისხმობდა. ამ საკითხის წამოჭრას დიდი წინააღმდეგობა და დისკუსია მოჰყვა, რომელშიც აქტიური როლი სხვათაშორის თურქეთმა ითამაშა. პ. გრაჩოვი თავის გამოსვლაში შეეხო დსთ-ში მიმდინარე საინტეგრაციო პროცესებსაც, რომლიებიც მისი აზრით არ ეწინააღმდეგებოდა ევროპული ინტეგრაციის პრინციპებს. რაც შეეხება ტაშკენტის ხელშეკრულებას კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ, მან იგი შეაფასა, როგორც დასავლეთთან და ნატოსთან თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ პ. გრაჩოვმა ნატო დაახასიათა, როგორც "ცივი ომის" პერიოდში შექმნილი ბლოკი, მას მხარი დაუჭირა "პარტნიორობა მშვიდობისთვის" (PFP) პროგრამის ინიციატივას, მაგრამ მოითხოვდა ალიანსთან უფრო ახლო თანამშრომლობას, რასაც PFP არ აკმაყოფილებდა, გარდა ამისა იგი თვლიდა, რომ ევროპაში სამხედრო – პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროში ხელმძღვანელი როლი უნდა დაკისრებოდა არა ნატოს, არამედ ევროთათბირსა და ნაქსი-ს. პ. გრაჩოვის საპასუხოდ გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ვ. რუემ პირველ რიგში აღნიშნა, რომ ნატო "ბლოკი" კი არ არის, არამედ თავისუფალი და სუვერენული ქვეყნების ალიანსი. ამასთან ერთად მან მხარი დაუჭირა ევროთათბირთან მჭიდრო თანამშრომლობის იდეას და რუსეთ – ნატოს შორის ურთიერთობის გაფართოების აუცილებლობას. ამგვარი ცხარე გამოსვლები დასავლეთისა და რუსეთის დაძაბული ურთიერთობის ფონზე შემდგომ პერიოდშიც მიმდინარეობდა, რაც ნამდვილად შორს წაგვიყვანს.

1995 წლის 26 თებერვალს ბ. კლინტონის მიერ ბ. ელცინისადმი მომზადებული წერილი გულისხმობდა ნატოს გაფართოების გამო რუსეთის იზოლირების უგულებელყოფას და ასევე ჩვენს ჩრდილოელ მეზობლის ამ პროცესში მიმდინარე მოვლენებით მაქსიმალურად ინფორმირებას. რამდენიმე დღის შემდეგ აშშ-ის ვიცე პრეზიდენტმა ა. გორიმ მსოფლიოს წინაშე განაცხადა: "ნატოს აღმოსავლეთისკენ გაფართოება მოხდება თანდათანობით და ყოველგვარი ნაუცბათევი ნაბიჯისა და სიურპრიზების გარეშე. ალიანსის ფარგლებს მიღმა მყოფ არც ერთ ქვეყანას არა აქვს ვეტოს უფლება ნატოს გადაწყვეტილებებზე. ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით წარიმართება რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავების პარალელურად. ნებისმიერ შემთხვევაში ნატომ და რუსეთმა ერთად უნდა გაარკვიონ თავიანთი ურთიერთობები. ნატო – რუსეთისა და აშშ – რუსეთის პოზიციების შეთანხმება დღეისათვის ისტორიული მნიშვნელობის ამოცანაა."

1997 წელს პორტუგალიის ქალაქ სინტრაში მოხდა ორი ორგანოს ჩრდილოატლანტიკური საბჭოსა და "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის შერწყმა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალი ორგანოს ევროატლანტიკური საბჭოს შექმნას (EAPC). საერთაშორისო მექანიზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის მშენებლობაში. ზ. აბაშიძის აზრით, როდესაც განიხილავდნენ გაფართოების სხვადასხვა ვარიანტებს, კრიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ნატოს რუსეთის საზღვრებამდე (ბალტიისპირეთის ჩათვლით) გაფართოება აუცილებლად გამოიწვევდა მოსკოვთან მეტად სერიოზულ კონფრონტაციასა და ევროპული უსაფრთხოების სისტემის მოშლას. იმ შემთხვევაში, თუ გაფართოება შემოიფარგლებოდა მხოლოდ პოლონეთით, ჩეხეთითა და უნგრეთით, მაშინ ევროპის დანარჩენი ქვეყნები უსაფრთხოების მუდმივ "ნაცრისფერ ზოლში" აღმოჩნდებოდნენ. გამომდინარე აქედან, უპირატესობა ენიჭებოდა მესამე "სცენარს", რომლის მიხედვით ნატოს გაფართოება რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავების ფონზე უნდა განხორციელებულიყო. ამის პარალელურად კი საჭიროდ მიიჩნევდნენ მოსკოვისათვის ეკონომიკური დახმარების მნიშვნელოვან გაზრდას. შესაძლოა ბოლო ვარიანტი ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. შესაძლებელი ხდებოდა "ნაცრისფერი ზოლის" თანდათანობით "ათვისება" რუსეთის გაღიზიანებისა და გაუცხოების გარეშე. 1997 წლის 27 მაისს პარიზში, ნატოს გენერალურმა მდივანმა ისევე, როგორც ალიანსის წევრ სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბ. ელცინთან ერთად ხელი მოაწერეს "დამფუძნებელ აქტს ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ორმხრივი ურთიერთობის, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ", რაც სტაბილური ორმხრივი ურთიერთობის დასაწყისად მიიჩნიეს, ყოველ შემთხვევაში, ამ ნაბიჯით დასავლეთი შეეცადა მოსკოვისთვის ორმხრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ახალი მექანიზმის შექმნის შეთავაზებას, რაც 2002 წელს, "რუსეთ – ნატოს საბჭოს" შექმნით დაგვირგვინდა.

1999 წელი ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ისტორიაში ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან თარიღად, ვგულისხმობ ვაშინგტონის სამიტს, სადაც მიღებულ იქნა ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რასაც ზედ ერთვოდა სამი სახელმწიფოს – პოლონეთის, უნგრეთის და ჩეხეთის ალიანსში გაწევრიანება. სამიტმა დაამტკიცა "გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP), რაც განსაზღვრავს პრაქტიკული მხარდაჭერის სისტემას, რომელიც მოიცავს ნატოში გაწევრიანებისათვის საჭირო ყველა ასპექტს და შემუშავებულია საგანგებოდ ალიანსში გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ალიანსსა და რუსეთს შორის კონსენსუსი მიღწეულია, ანტიდასავლური განწყობილება რუსეთში მაინც არსებობს, რაც ამ უკანასკნელის არარსებული ზესახელმწიფოს ამბიციებით აიხსნება. ალბათ გაჩნდება ლოგიკური კითხვა რა საფრთხეებს ხედავს რუსეთი ნატოს გაფართოებაში? აღნიშნულ კითხვაზე არაჩვეულებრივ პასუხს 1999 წელს რუსეთის სათათბიროსათვის ამ თემაზე მომზადებული ანალიტიკური მასალები გაგვცემენ, რომლის საფუძველზე შემდგომ მიიღეს სახელმწიფო სათათბიროს სპეციალური დადგენილება. ამ დოკუმენტიდან ყველაზე მნიშვნელოვანია რიგით მე-11, სადაც ნათქვამია, რომ "ისტორიული და ცივილიზაციური მიზეზების გამო რუსეთი იყო და რჩება ნატოს მტრული დამოკიდებულების მთავარ ობიექტად. ამ კონტექსტში ჩამოთვლილია ის საფრთხეები, რაც საფრთხეს უქმნის რუსეთს. ამის ილუსტრაციისთვის მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

– უშუალო და პოტენციური სამხედრო საფრთხეები, გამოწვეული ნატოს სამხედრო დაჯგუფებების რუსეთის საზღვრებთან 700 კილომეტრზე მოახლოების გამო;

– მექანიზმების მთელი სისტემის ამოქმედება, რომელთა მიზანია რუსეთის ეკონომიკისა და შეიარაღებული ძალების დანგრევა, რაც გამოიწვევს რუსეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებას დასავლეთზე;

– ნატოს წევრი ქვეყნების ჩარევა რუსეთის საშინაო საქმეებში, დსთ-ის ფარგლებში ინტეგრაციის ხელის შეშლა, პოსტსაბჭოურ სივრცეში ანტირუსული მიმართულების სახელმწიფოთა ჯგუფის შექმნა;

– რუსეთის საზოგადოების ინფორმაციული – პროპაგანდისტული "დამუშავება" და დეზინფორმირება ნატოს გაფართოების ჭეშმარიტ მიზნებთან დაკავშირებით;

– რუსეთის ტერიტორიაზე ნატოს ქვეყნების სადაზვერვო ქსელის გაფართოება;

– რუსეთის სამეცნიერო – ტექნიკური პოტენციალის გამოყენება;

– რუსეთის კულტურული დეგრადაცია და ტრადიციული ფასეულობების შეცვლა

აი ის ძირითადი საფრთხეები, რაც რუსეთის პოლიტიკური აზროვნების ჩამორჩენილობაზე მიუთითებს და რომლითაც იგი დღესაც აქტიურად ხელმძღვანელობს. იმის მაგივრად რომ მან იზრუნოს ევროატლანტიკული სივრცის უსაფრთხოებაზე და ცივილიზებულ სამყაროსთან ერთად საკუთარი წვლილი შეიტანოს მშვიდობიანი ევროპისა და მსოფლიო არქიტექტურის მშენებლობაში, ამგვარი პრაგმატული აზროვნებითა და მდგომარეობით ხელმძღვანელობს. ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირია მიუნხენის კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინისა და სერგეი ივანოვის აღნიშნული გამოსვლა, რაც რუსეთში პოლიტიკური კულტურისა და აზროვნების ჩამორჩენილობაზე მიუთითებს.

ამგვარად, ნატოს გაფართოება არის შეუქცევადი პროცესი, რაც სხვადასხვა ისტორიული პროცესებითა და კანონზომიერებებით ხასიათდება. რუსეთის წინააღმდეგობა 2002 წლიდან რუსეთ-ნატოს საბჭოს არსებობის მიუხედავად დღემდე გრძელდება, ანალოგიურად 90-იანი წლებისა, რაც იმ პერიოდისათვის გაცილებით უფრო მწვავე ხასიათს იძენდა. მართალია, დაძაბულობა დღეს შედარებით განმუხტულია, მაგრამ ალიანსის გაფართოებას მუდმივად თან სდევს რუსეთის მცდელობა, მაქსიმალურად შეზღუდოს დსთ-ის ფარგლებში მყოფი ის სახელმწიფოები, რომელთათვის ევროსტრუქტურებში ინტეგრაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, რომელთაც გაუძლეს ჩვენი ჩრდილოელი

მეზობლის მუდმივ პროვოკაციას და ევროპული ოჯახის და საეთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრები გახდნენ, უფრო მეტიც, მათ შეძლეს საბჭოურ პერიოდში მიღწეული სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის გამოყენება და ევროპულთან შეთავსებით განვითარების საკუთარი მიმართულებაც მისცეს. იმედია, რომ საქართველო ისევე, როგორც უკრაინა გაითავისებს ბალტიისპირეთის გამოცდილებას და ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს საერთაშორისო თანამეგობრობისა და მთლიანად ევროატლანტიკურ სივრცეში.

ირაკლი ჟორჟოლიანი

მსოფლიოში მიმდინარე სამხედრო სიახლეები

ელექტრონული ბიულეტინის "ნატო და მსოფლიო უსაფრთხოების" მკითხველს წინა ნომერში შევთავაზეთ რუბრიკა მსოფლიოში მიმდინარე სამხედრო სიახლეები, რომელსაც მუდმივმოქმედ რუბრიკად გადავაქცევთ, რადგანაც თითოეული სახელმწიფო ცდილობს უფრო და უფრო ძლიერი არმიების და შეიარაღების შექმნას, რომელიც შეიძლება რეალურად არასდროს გამოიყენოს, მაგრამ ერთგვარ უპირატესობას ანიჭებს თუნდაც დიპლომატიური მოლაპარაკებების დროსაც, რადგანაც მოწინააღმდეგე ელემენტარულად ითვალისწინებს თუ რა ძალა გააჩნია ქვეყანას კონკრეტული მოლაპარაკების უკან, ამიტომ სრულიად ვეთანხმები ანდაზას "თუ გსურს მშვიდობა ემზადე ომისთვის". ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს, ნატოს წევრი და პარტნიორი, აგრეთვე ჩვენ რეგიონზე გავლენის მსურველი ქვეყნების სამხედრო სიახლეები, აგრეთვე მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე მოთამაშე ქვეყნები, რომელთაც შეიძლება ჩვენ ქვეყანაზე პირდაპირი გავლენის შესაძლებლობა არ აქვთ მაგრამ თავიანთი წონადობით მსოფლიოში შესაძლოა ირიბი გავლენა მოახდინონ ჩვენ ქვეყანაზე.

აშშ აძლიერებს ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ და ცდილობს სრულყოს თავისი საბრძოლო ტექნიკა ამ ბრძოლების ეფექტური წარმოებისათვის, ამის დასტურია ახალი უსწრაფესი რაკეტის შექმნა როგორიცაა **X-51 WAVERIDER**-ი, მისი სიჩქარე საათში 6000კმ/სთ-ს შეადგენს რაც ბევრად მეტია ამავე დანიშნულების რაკეთა "ტომაჰავკის" სიჩქარეზე, რის საშუალებით ამერიკის შეიარაღებულ ძალებს საშუალებას მისცემს დროის უსწრაფეს მონაკვეთში გაანადგუროს ტერორისტული დაჯგუფებები ისე რომ მათ პოზიციის შეცვლა ვერ მოასწრონ. აშშ არამხოლოდ შემტევი საშუალებების შექმნას ცდილობს, არამედ აქტიურად მუშაობს საკუთარი სამხედრო ტექნიკისა და პერსონალის უსაფრთხოებაზე, აშშ-ს საზღვაო ძალების ნელა მცურავ ხომალდების ტერორისტებისაგან დაცვის მიზნით შექმნა ლაზერული სისტემა **DUWS.** აშშ აქტიურადაა დაკავებული სამხედრო ტექნიკის ექსპორტით, იგი პაკისტანს მიყიდის 700 ერთეული "ჰაერი-ჰაერი" კლასის საშუალო და ახლო ბრზოლის დისტანციის რაკეტას, რომლითაც პაკისტანი ახალ ავიაგამანადგურლებს აღჭურვავს, გარიგების სავარაუდო ღირებულება 300 მლნ დოლარს აღწევს, რითაც საკმაოდ გაძლიერდება პაკისტანის არმიის ბრძოლისუნარიანობა.

ძლიერდება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის რუსეთის არმია, რუსები ძირითა აქცენტს შორი დისტანციის რაკეტებზე აკეთებენ, რუსეთი აგრძელებს სტრატეგიული მნიშვნელობის სისტემების მოდერნიზებას, ამის მაგალითია

კონტინენტთაშორისი მოქმედების ბალისტიკური რაკეტა **CC-27,** აგრეთვე საზღვაო ძალებზე განთავსების რაკეტას "ბულავას", რუსეთი ამერიკისგან განსხვავებით აიარაღებს პაკისტანის მეზობელ ინდოეთს, რომელიც 2007-2008 წლებში 950 მლნ დოლარის საფასურად რუსეთისგან მიიღებს თანამედროვე და მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო **T-90** ტიპის 300 ერთეულ ტანკს.

როგორც ცნობილი გახდა ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში რომელიც ნატოს ეგიდით მიმდინარეობს, მოვალეობის შესრულებაზე უარი განაცხადა 3500 კაციანმა იტალიურმა სამხედრო კონტიგენტმა, ამის პარალელურად საქართველო სურვილს გამოთქვამს მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში, რაც დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს ნატოში გაწევრიანების გადაწყვეტილების მიღებისას კონსესუსს ნატოს წევრ სახელმწიფოთა შორის, მაგრამ იმედია რომ ქართული კონტიგენტი არ იქნება იმ რაოდენობის, როგორიც იტალიური რადგანაც 3500 ჯარისკაცი, ქართული არმიის 20%-ს შეადგენს, ამიტომ სავარაუდოდ ავღანეთში 300კაციანი ბატალიონი გაემგზავრება.

დიმიტრი სილაძე

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი
0018 რუსთაველის გამზირი №8, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 93 56 53, ფაქსი (995 32) 92 02 76
ელ-ფოსტა: vasili@parliament.ge; irakli27@gmail.com